



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის  
ოქმი N 7**

ქ. ლანჩხუთი

18. 07. 2017 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ წევრი ელისო ჭიჭინაძე (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სარგებლობს ხმის უფლებით). საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) მ/შ ნანა ბზეკალავა. საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) ია მოქია.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაგული კუნჭულია. გამგეობის საფინანსო-

საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია. გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ორი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი ნ. ცინცაძე/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი ნ. ცინცაძე/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი მ. კუნჭულია/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ბიჯის სიდიდის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

8. სხვადასხვა:

**გამგებლის პირველ მოადგილის, ნუგზარ ცინცაძის თხოვნით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დაიწყო მეორე საკითხით, ხოლო პირველი საკითხის გადანაცვლება მოხდა ბოლო საკითხად.**

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

**საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 28 ივლისი, 11 საათი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა გამგებლის პირველმა მოადგილემ, ნუგზარ ცინცაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მომზადდა „საქართველოს ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N160 დადგენილების საფუძველზე. გეგმა შემუშავდა პროექტის - „მუნიციპალიტეტების დონეზე სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში“ - ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისისა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მოსამზადებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შეიქმნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც იგი თავად ხელმძღვანელობდა.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულის ზონაში აუცილებელია დამატებით სანაგვე ურნების დადგმა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ია ჩხაიძე** დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობისათვის ნაგვის გატანის საფასურის დაწესება, რაც მისი აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს. ყველა მოქალაქე ვალდებულია ნაგვის გატანის მომსახურებისთვის გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი, რომლის აკუმულირება მოხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

გამგებლის პირველმა მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ** განმარტა, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა. განიხილება რამდენიმე ვარიანტი, თუ როგორი ფორმით უნდა მოხდეს ნაგვის გატანა და რა ოდენობის ტარიფი უნდა დაწესდეს მასზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისი“-ში, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში დასუფთავებითი სამუშაოების შესრულებას, გაფლანგულია 50 000 ლარი, რომელზეც სამწუხაროდ ყველანი თვალს ხუჭავს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულებების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ნუგზარ ცინცაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგებლის პირველმა მოადგილემ, ნუგზარ ცინცაძემ. მან აღნიშნა, რომ 2010 წლის 26 ნოემბრის N76 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი კატასტროფების და კრიზისული სიტუაციების მართვისა და პრევენციის გეგმა“. იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით გაუქმებული ან არსებითად შეცვლილია ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც საფუძვლად დაედო N76 განკარგულებას, ასევე რეორგანიზებულია განკარგულებაში მოხსენებული სტრუქტურების ნაწილი, აუცილებლობას წარმოადგენს საკრებულომ დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის ახალი გეგმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილების შესაბამისად, წარმოდგენილია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. პროექტის მიღება არ იწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას, ხდება მხოლოდ სამართლებრივი აქტის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის სახნავ-სათესი მიწების დაახლოებით 20-30 პროცენტი მდინარე სუფსას კალაპოტიდან გადმოსვლის გამო წადებული აქვს. მან თხოვნით მიმართა გამგებლის პირველ მოადგილეს, ნუგზარ ცინცაძეს ჩაინიშნოს აღნიშნული საკითხი, რათა პროცესში ჩაერთოს შესაბამისი სამსახურები და პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას.

ბიუროს წევრები მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო,

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ნუგზარ ცინცაძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა, მაგული კუნჭულიამ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივნისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი მაგული კუნჭულია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინადადების გათვალისწინებით ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ მომზადდა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილება კერძოდ: 2017 წლის სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული-„მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“ და „ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამის“ მთლიანი ტექსტიდან ამოღებულ იქნა სიტყვა მცხოვრები. გარდა ამისა, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიიდან შემოვიდა წინადადებები, რომლებიც წარმოდგენილ განკარგულების მუხლებში გარკვეულ ცვლილებებს გულისხმობს. აღნიშნული საკითხების განხილვა მოხდება საკრებულოს დარგობრივი კომისიის მიერ, რომლის გადაწყვეტილების შესაბამისად მოხდება ცვლილებების ასახვა წარმოდგენილ განკარგულებაში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ის ხელმძღვანელობს საკრებულოს დარგობრივ კომისიას, რომელზეც აღნიშნული საკითხის განხილვა უნდა მოხდეს. კარგია, თუ დაცული იქნება კოლეგიალობა და ამა თუ იმ ცვლილების შესახებ ის, როგორც კომისიის ხელმძღვანელი, მაქსიმალურად იქნება ინფორმირებული.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნულ წინადადებებს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომაზე დეტალურად წარმოადგენს.



ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ 2017 წლის 28 თებერვლის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო გეგმის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N13 განკარგულების პირველი მუხლის, დანართი N1 და მე-2 მუხლის დანართი N2-ის შესაბამისად განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა და გეგმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო გეგმაში უნდა მოხდეს ცვლილება, რაც განპირობებულია გეგმაში 5 საპრივატიზებო ობიექტის დამატებით. კერძოდ, ემატება გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 2 თავისუფალი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ყოფილი არასრული საშუალო სკოლის

შენობა-ნაგებობა მიწის ნაკვეთით, ასევე მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობა და აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საპრივატიზაციო ნუსხაში წარმოდგენილია გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ყოფილი არასრული საშუალო სკოლის შენობა, მაშინ როცა, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს არცერთი პროფესიული სასწავლებელი, რომელიც სასიცოხლოდ აუცილებელია მუნიციპალიტეტისთვის, ვინაიდან პროფესიული კადრების გადამზადება ფაქტობრივად აღარ ხდება. მისი თქმით, აღნიშნულ შენობაში აუცილებლად უნდა მოხდეს ალტერნატიული სასწავლო დაწესებულების განთავსება, რომელიც მოამზადებს ისეთ კვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებიც გამოადგებიან, როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე ქვეყანას.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ ნამდვილად აუცილებელია მუნიციპალიტეტში პროფესიული სასწავლებლის არსებობა, მაგრამ ის უნდა შეიქმნას კერძო სექტორის ან სახელწიფოს მიერ. იგი დაინტერესდა, ეცნობა თუ არა განათლების და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული საკითხის თაობაზე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** განმარტა, რომ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთვის წერილობით არ მიუმართავს. მას საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა შეხვედრა ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატ, ნინო წილოსანთან, რომელსაც დიდი სურვილი აქვს მუნიციპალიტეტში შეიქმნას პროფესიული სასწავლებელი, რაშიც აქტიურად არის ჩართული. ასევე, საინტერესოა, თუ როგორ მოხდა ასეთი დაჩქარებული ტემპით ობიექტის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა, მაშინ, როცა რამდენიმე დღის უკან კოლეგებთან ერთად დაათვალიერა აღნიშნული შენობა-ნაგებობა.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის სამინისტრო ითხოვდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა - ნაგებობების ჩამონათვალს, რომელიც დროულად მიეწოდა. ასევე, აუცილებელი მოთხოვნაა, ყველა შენობა-ნაგებობა, რომელიც მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება, იყოს შეფასებული.

ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **კახა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ობიექტის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანა არ გულისხმობს მის აუქციონზე გატანას.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ის მიესალმება ინიციატივას, თუ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სავადმყოფოს შენობაში განთავსდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსება დაუშვებელია, ვინაიდან სუფსიდან წამოსული სასწრაფო დახმარების ავტომანქანას ძალიან დიდი დრო დასჭირდება დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან სხვა დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N13 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ბიჯის სიდიდის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრივატიზაციის გეგმით განისაზღვრა; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოთის ადმინისტრაციულ ერთეულის, სოფელ ნიგოთში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ27.04.48.183) პრივატიზება, რომლის საწყისი საპრივატიზებო საფასური განსაზღვრული იყო 12513 ლარის ოდენობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის 23 ოქტომბერს ზემოაღნიშნულ ობიექტზე გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, მაგრამ არ მოხდა მისი პრივატიზება.

2015 წლის 8 დეკემბერსა და 2016 წლის 22 აპრილს ისევ გამოცხადდა განმეორებითი ელექტრონული აუქციონი შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურით. თუმცა არც ამ შემთხვევებში არ გაიყიდა ობიექტი, მიუხედავად იმისა, რომ 50%-მდე მოხდა ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დაწვეა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მუხლი 13-ის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 50%-ზე უფრო შემცირებას, რაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას საჭიროებს. გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის პოზიციას მოხდეს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 70%-მდე შემცირება (საწყისი საპრივატიზებო საფასური - 3754 ლარი).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ბიჯის სიდიდის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი

ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3) პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) . მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე 15 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, რომან ბიწაძის თქმით ხშირ შემთხვევაში გამგეობის მიერ საკრებულოსთვის მოწოდებულ საკითხებში ირკვევა, რომ ზოგიერთ ნაწილში გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური არ ეთანხმება წარმოდგენილ დოკუმენტს ( აღმოჩნდება, რომ შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა არ არსებობს) რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევს. გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა კეთილი ინებოს და კანონით მინიჭებული უფლება გამოიყენოს, კერძოდ, შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადებული მოხსენებით ბარათი ბიუჯეტთან დაკავშირებით აუცილებლად ფილტრაციაში გაატაროს, რაც ზემოთხსენებულ გაუგებრობას გამორიცხავს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ სხდომის დაწყებამდე მას ჰქონდა შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამგებელთან, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარესთან, ასევე მუნიციპალიტეტის იურისტებთან, საკითხთან დაკავშირებით მოხდა შეჯერება. ვინაიდან დარგობრივი კომისიის მიერ განხილული იყო ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, რომელიც ეხებოდა საქართველოს მთავრობის 30 ივნისის N1328 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის ევროკავშირის პროექტის მონაწილეობით გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის ფარგლებში გამოყოფილ თანხას, განხილულ იქნას 18 ივლისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე. ხოლო, ბიუჯეტში შესატანი იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებზეც დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი დამატებითი განმარტებითი ბარათი 18 ივლისის რიგგარეშე სხდომაზე ასევე დავიწყებთ ადმინისტრაციულ წარმოებას, რაც აღმასრულებელ ორგანოს მისცემს შესაძლებლობას დამატებით მოახდინოს საკითხის შესწავლა და შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის მოძიება.

აღნიშნულ წინადადებას მომხსენებელი და ბიუროს ყველა წევრი ერთხმად დაეთანხმა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
საკრებულოს ბიურო